ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 308

16 ივლისი
"___"_____ 2022 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა №2-ში (საკადასტრო კოდი: №01.14.06.008.083) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №188 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 14 ივნისის N22.893.961 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა №2-ში (საკადასტრო კოდი: №01.14.06.008.083) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №188 განკარგულების დანართი 1-ის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. მიეცეს თანხმობა, „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა №2-ში (საკადასტრო კოდი: №01.14.06.008.083) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 4 მაისის №22.657.707 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 14 ივნისის №22.893.961 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა №2, სართული 7, ბინა №21-ში მდებარე 80.77 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.06.008.083.01.021) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, პრივატიზებაზე, ნინო ფაშტიანისთვის (პ/ნ. 01008058152) საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

12	ნინო ფაშტიანი	01008058152	80.77	სართული 7, ბინა №21	01.14.06.008.083.01.021